საქართველოს პროფესიონალ
ბუღალტერთა და აუდიტორთა
ფედერაცია (ბაფი)

დამტკიცებულია
ბაფის გამგეობის სხდომაზე:
ოქმი N 5 09.09. 2012 წელი

შეტანილი ცვლილებები:
გამგეობის სხდომაზე
ოქმი N 03 20. 04 2017 წ.

გამგეობის თავმჯდომარე: რ. ძაძამია

დებულება

„ბაფის" წევრობასთან დაკავშირებული პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ

(კოდიფიცირებული)

1. დებულების საფუძველი

1.1. დებულება შემუშავებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის", „ბაფის წესდების", „ბაფის" საწევრო კომიტეტის, ეთიკის და დისციპლინარული კომიტეტების დებულებების მოთხოვნების შესაბამისად;

1.2. დებულება აგრეთვე ეფუძნება წევრობის კანდიდატების გამოცდილების, კომპეტენციის, პროფესიული ეთიკისა და სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან დაკავშირებულ „ბაფის" შიდა პოლიტიკის, სისტემებისა და პროცედურების შესახებ გამგეობის მიერ დამტკიცებულ დოკუმენტებს.

2. დებულების მიზანი

2.1. დებულების მიზანია „ბაფის" წევრობასთან დაკავშირებული „შიდა პოლიტიკისა და პროცედურების" დადგენა და რეგულირება შემდეგ საკითხებთან მიმართებით:

- წევრად მიღება
- წევრების უფლებები და ვალდებულებები
- წევრობის შეჩერება
- წევრობის შეწყვეტა
- წევრების რეესტრის წარმოება.

1. წევრობის დაშვებული სახეობები

3.1. **„ბაფის“** წევრობა არის როგორც ინდივიდუალური, ასევე კორპორაციული.

3..2. **„ბაფს“** შეიძლება ჰყავდეს:

- ინდივიდუალური ასოცირებული წევრები;
- ინდივიდუალური ნამდვილი წევრები;
- კორპორაციული წევრები;
- ინდივიდუალური საპატიო წევრები.

4. ასოცირებული წევრები

4.1. ბაფის ასოცირებული წევრები შეიძლება იყვნენ პირები:

ა) რომელთაც აქვთ უმაღლესი ან საშუალო სპეციალური (პროფესიული) განათლება ბუღალტრული აღრიცხვის, აუდიტის ან ეკონომიკის სხვა სფეროში;

ბ) რომლებიც სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში ეკონომიკური პროფილით;

გ) რომლებიც ჩართულნი არიან **,,ბაფის“** ,,ბუღალტერთა სასერთიფიკაციო პროგრამაში“;

დ) რომლებიც მოღვაწეობენ ბუღალტრული აღრიცხვის ან აუდიტის სფეროში.

4.1.1. **„ბაფის“** ,,ასოცირებული წევრობის“ კანდიდატები (შემდგომში „კანდიდა-ტები“) გადიან შემდეგ პროცედურებს:

4.1.1.1 **„ბაფის“** ,,საწევრო კომიტეტს“ მიმართავენ განცხადებით გაწევ-რიანების შესახებ;

4.1.1.2 აღიარებენ **„ბაფის“** წესდებას, ,,პროფესიული ეთიკის კოდექსს“ და წინამდებარე დებულებით დადგენილ წესებს, რასაც ადასტურებენ შესაბამის დოკუმენტზე ხელის მოწერით;

4.1.1.3 ავსებენ ანკეტას და ფოტოსურათთან ერთად წარმოადგენენ ,,საწევრო კომიტეტში“;

4.1.1.4 იხდიან გაწევრიანების მოსაკრებელს და ექვსი თვის საწევრო შენატანის თანხას;

4.1.1.5 პროცედურების გავლისა და დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ ,,საწევრო კომიტეტი,“ 10 კალენდარული დღის ვადაში, განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის ,,ბაფის“ ასოცირებულ წევრად მიღების შესახებ;

4.2 რეგიონებში **„ბაფის“** ასოცირებული წევრების მიღების პროცედურებთან დაკავშირებით, ,,საწევრო კომიტეტის“ ფუქციები დელეგირებულია **„ბაფის“** ფილიალებზე.

4.3. კანდიდატის **,,ბაფის“** ასოცირებულ წევრად მიღების თარიღად ითვლება ,,საწევრო კომიტეტში“ მისი განცხადების შემოტანის თარიღი.

5. ნამდვილი წევრები

5.1. **„ბაფის“** ნამდვილი წევრები შეიძლება გახდნენ ასოცირებული წევრები, რომელთაც **„ბაფში“** გავლილი აქვთ სერტიფიცირება ან/და სერტიფიცირებულ პირებად აღიარებულნი არიან კანონმდებლობით. ასევე, **„ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის“** წევრი პროფესიული ორგანიზაციის მიერ სერტიფიცირებული პირები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ საქართველოს „საგადასახადო“ და „ბიზნესსამართლის“ საკვალიფიკაციო გამოცდა;

5.1.1. ნამდვილი წევრობის კანდიდატები განცხადებით მიმართავენ **„ბაფის”** „საწევრო კომიტეტს”;

5.1.2. შესაბამის დოკუმენტზე ხელის მოწერით ადასტურებენ, რომ იცნობენ და აღიარებენ **„ბაფის“** წესდებას, „პროფესიული ეთიკის კოდექსს“, სავალდებულო განგრძობითი განათლების მოთხოვნებს და წინამდებარე დებულებით დადგენილ წესებს;

5.1.3. პირი არ შეიძლება იყოს ან გახდეს **„ბაფის“** ნამდვილი წევრი, თუ იგი ვერ აკმაყოფილებს **„ბაფის“** დადგენილ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს და არ აღიარებს ამ დებულების 5.1.2 პუმქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

5.2. შესაბამისი დოკუმეტაციის განხილვის შემდგომ, 15 კალენდარული დღის ვადაში, „საწევრო კომიტეტი“ იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატის **„ბაფის“** ნამდვილ წევრად მიღების შესახებ;

5.2.1. კანდიდატის ნამდვილ წევრად მიღების ან წევრობაზე უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღება ,,საწევრო კომიტეტის“ ხმათა უმრავლესობით. წევრობაზე უარის შესახებ კანდიდატმა უნდა მიიღოს დასაბუთებული განმარტება. კანდიდატს უფლება აქვს ხელახლა შეიტანოს თხოვნა წევრობის შესახებ ან მიმართოს **,,ბაფის“** გამგეობას.

5.2.2 კანდიდატის **,,ბაფის“** ნამდვილ წევრად მიღების თარიღად ითვლება მისი განცხადების თარიღი.

6. კორპორაციული წევრები

6.1. **„ბაფის“** კორპორაციული წევრი შეიძლება გახდეს აუდიტური ფირმა, რომელსაც გავლილი აქვს **„ბაფის“** გამგეობის მიერ დადგენილი გაწევრიანების პროცე-დურები.

6.1.1 კორპორაციული წევრობის კანდიდატი წარმოადგენს სარეგისტრაციო ანკეტას (დებულების დანართი) თანდართულ დოკუმენტებთან ერთად;

6.2. კორპორაციული წევრი **„ბაფის“** წესდებით დადგენილ უფლებებსა და მოვა-ლეობებს ახორციელებს მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის მეშვეობით. საერთო კრებაზე კორპორაციულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.

6.3. კორპორაციული წევრი სარგებლობს იგივე უფლებებით, რაც ნამდვილი წევრი.

6.4. **„ბაფის“** წევრობა შეიძლება შეჩერებული იქნეს წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის ან/და ,,პროფესიული ეთიკისა“ და ,,დისციპ-ლინარული კომიტეტის“ დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში.

6.5. წევრობის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის საკითხებს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს ,,საწევრო კომიტეტი“.

6.6. კორპორაციული წევრობის კანდიდატი წევრად ითვლება ,,საწევრო კომიტეტის“ გადაწყვეტილების მიღების თვის პირველი რიცხვიდან

6.7. კორპორაციულ წევრს უფლება აქვს ნებაყოფლობით გავიდეს წევრობიდან გასვლის შესახებ წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტიდან ერთი თვის შემდეგ. ამ დროის განმავლობაში ის ჩვეულებრივ ასრულებს წესდებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს.

7. წევრების უფლება-მოვალეობები

7.1. **„ბაფის“ წევრები უფლებამოსილნი არიან:**

- არჩეული იქნენ **,,ბაფის“** საქმიანობის მმართველ ორგანოებში;
- მონაწილეობა მიიღონ საერთო კრების საქმიანობაში;
- დაასახელონ გამგეობის წევრობის კანდიდატები, ხმა მისცენ პერსონა-ლურად და თავისი წარმომადგენლის მეშვეობით ან წერილობითი საარ-ჩევნო ბარათით გამგეობის არჩევნების დროს, აგრეთვე წესდების ნორმებსა და წესებში ცვლილებების შეტანის დროს;
- წინადადებები შეიტანონ ,,ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის“ სახელმწიფო ნორმებისა და სტანდარტების შემუშავების პროცესში;
- მონაწილეობა მიიღონ **„ბაფის“** სხვა ღონისძიებებში, კერძოდ, მოსამზა-დებელ სემინარებში, **„ბაფის“** ეთიკური კოდექსის შემუშავებაში და სხვა;
- ხელი მიუწვდებოდეთ უახლოეს პროფესიულ ინფორმაციაზე სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობის, სპეციალურ ლიტერატურაზე ხელ-მოწერის გზით.

7.2. **„ბაფის“ წევრები ვალდებული არიან:**

- გაეცნონ და აღიარონ **„ბაფის“** გამგეობის მიერ დამტკიცებული წევრობასთან დაკავშირებული პოლიტიკა და პროცედურები გაწევრიანებისა და ხარისხის კონტროლის მოთხოვნების შესრულების პროცედურები და გადაიხადოს კორპორაციული საწევრო შენატანი. გაწევრიანების საფასურსა და საწევრო შენატანის ოდენობას ადგენს გამგეობა.
- დაიცვან წინამდებარე დებულების, ,,პროფესიული ეთიკისა“ და **„ბაფის“** საწესდებო ნორმები;
- შეასრულონ განგრძობითი განათლების სტანდარტით დადგენილი სავალდებულო სწავლების მოთხოვნები (ნამდვილი წევრებისათვს), რათა დააკმაყოფილონ **„ბაფის“** მოთხოვნები პროფესიული უნარ-ჩვევების შენარჩუნებისა და მუდმივი სრულყოფის მხრივ;

- დააკმაყოფილონ სხვა მოთხოვნები, რომელსაც დაადგენს **„ბაფი“** ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობისა და ,,საერთაშორისო ბუღალტერთა ფედერა-ციაში“ წევრობის მოთხოვნებიდან გამომდინარე.
- განაახლონ წევრობის სარეგისტრაციო ანკეტაში მოცემული ინფორმაცია, მისი ცვლილებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში;
- გადაიხადონ საწევრო გადასახადი **,,ბაფის“** გამგეობის მიერ დაწესებული ოდენობით;

7.3. გაწევრიანების საფასურსა და საწევრო შენატანის ოდენობას, წევრობის სახეების მიხედვით, ადგენს **„ბაფის“** გამგეობა.

7.4. დებულების ამ მუხლის მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში **„ბაფის“** წევრების მიმართ შეიძლება გამოყენებული იქნეს სანქციები გაფრთხილების, საყვედურის ან წევრობიდან გარიცხვის სახით.

7.5. წევრის გარიცხვის მიზეზი შეიძლება აგრეთვე გახდეს მის მიერ პროფესიული საქმიანობისათვის შეუფერებელი მოქმედებების განხორციელება, ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც დისკრედიტაციას უწევს ბუღალტრისა და აუდიტორის საქმიანობას

7.6. წევრების მიმართ გასატარებელ ადმინისტრაციულ ზომებს და პროცედურებს ადგენს შესაბამისი კომიტეტები და ამტკიცებს გამგეობა.

7.7. წევრს უფლება აქვს მის მიმართ განხორციელებული ადმინისტრაციული ზომები გაასაჩივროს **„ბაფის“** გამგეობაზე.

8. საპატიო წევრი

8.1. **„ბაფის“** წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში მომუშავე დამსახურებული მუშაკები მიიღებიან **„ბაფის“** საპატიო წევრებად.

8.2. **„ბაფის“** საპატიო წევრებზე გაიცემა შესაბამისი წევრობის დამადასტურებელი მოწმობა.

9. წევრობის შეჩერება და შეწყვეტა

9.1. **„ბაფის“** წევრობიდან გასვლა ხდება:

- წევრის პირადი განცხადების საფუძველზე;
- წევრობის შეწყვეტის (გარიცხვის) დროს;

9.2. წევრობის შეწყვეტა (გარიცხვა) ხდება შემდეგი მნიშვნელოვანი საფუძვლების არსებობის დროს:

- წესდების დებულებათა მოთხოვნების სისტემატური შეუსრულებლობა;
- დისციპლინარული მოკვლევით გამოვლენილი პროფესიული ეთიკის ნორმების დარღვევა;

- სავალდებულო განგრძობითი განათლების სტანდარტით გათვალისწინებულ მოთხოვნათა (3 წლის განმავლობაში 120 საათი) უგულველყოფა - ნამდვილი წევრებისთვის;
- მომსახურების ხარისხის კონტროლის სისტემის უგულველყოფა (სერტიფიცირებული პირებისა და კორპორაციული წევრებისათვის);
- საწევრო შესატანების გადაუხდელობა:
  - ა. ასოცირებული წევრის მიერ 5 კალენდარული წლის განმავლობაში;
  - ბ. ნამდვილი წევრის მიერ 3 კალენდარული წლის განმავლობაში;
  - გ. კორპორაციული წევრის მიერ 2 კალენდარული წლის განმავლობაში.

9.3. განსაკუთრებულ შემთხვევებში (წევრის მიერ ფინანსური პრობლემების ან სხვა დასაბუთებული გარემოების შესახებ განაცხადის საფუძველზე) ,,საწევრო კომიტეტის" გადაწყვეტილებით შეიძლება მოხდეს საწევრო შესატანის გადავადება;

9.4. ამ დებულების 9.2 პუნქტით განსაზღვრული წესებისა და მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, წევრობის შეწყვეტამდე, წევრების მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას სანქციები და გაფრთხილებები.

9.5. წევრობის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საწევრო კომიტეტი, რომელიც განსახილველად გააქვს გამგეობის სხდომაზე და ძალაში შედის გამგეობის მიერ მისი დამტკიცების შემდეგ.

10. წევრობის მოწმობა

10.1. **„ბაფში"** გაწევრიანებისთანავე ასოცირებულ, ნამდვილ, საპატიო და კორპორაციულ წევრებზე გაიცემა წევრობის დამადასტურებელი მოწმობა. მოწმობა გაიცემა დადგენილი წესით გაწევრიანების მოსაკრებლისა და საწევრო შესატანის შეტანის შემდეგ;

10.2. წევრობის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, მოწმობა უნდა დაუბრუნდეს **„ბაფის"** სამდივნოს მოთხოვნისდაკვალად.

11. წევრთა რეესტრის წარმოება

11.1. **„ბაფი"** აწარმოებს წევრთა რეესტრს, რომელიც მოიცავს:
- ასოცირებული წევრების რეესტრს;
- ნამდვილი წევრების (სერტიფიცირებული პირები) რეესტრს;
- საპატიო წევრების რეესტრს;
- კორპორაცილი წევრების რეესტრს.

11.2. წევრთა რეესტრი წარმოებს ელექტრონული სახით.

11.3. სერტიფიცირებული პირებისა და კორპორაციული წევრების შესახებ ინფორმაცია თავსდება **„ბაფის"** ვებგვერდზე;

11.4. კორპორაციული წევრების შესახებ ინფორმაცია მოიცავს:
- ფირმის სახელწოდებას;

- ფაქტობრივ მისამართს;
- ტელეფონს;
- ფაქსს;
- ელ.ფოსტას;
- ხელმძღვანელი პირების თანამდებობას, სახელებსა და გვარებს;
- ფილიალების მისამართები და ტელეფონები
- ვებგვერდის მისამართს;
- ლოგოს;
- დასკვნაზე ხელმოწერის უფლების მქონე პირებს.

12. წევრობის აღდგენა

12.1. **„ბაფის“** წევრობის რეესტრიდან ამოღებულ პირს უფლება აქვს **„ბაფის“** წევრობა აღიდგინოს რეესტრიდან ამოღების საფუძვლის აღმოფხვრის დადასტურების შემთხვევაში.